ოქმი:**ო63. 6324351001**
თარიღი:**16/12/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 21

ქ. სამტრედია. 11 დეკემბერი, 2024 წელი.

2024 წლის 11 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, გრიგოლ ჩიგოგიძე, როლანდ ეცადეიშვილი, დავით ნიკოლეიშვილი, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე.

2. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.

3. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

4. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნატო ჯულაყიძე.

5. გაზეთი ,,სამტრედიის მაცნე''-ს კორესპოდენტი, თეა ბაბუნაშვილი.

6. სამტრედიის ტელერადიო კომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, ,,ვიდრე დავიწყებდეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას, მინდა გაცნობოთ, რომ რამოდენიმე დღის წინ, საქართველოში გაიმართა მოყვარულთა ლიგის ჩემპიონატი ფეხბურთში, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის, სოფელ იანეთის გუნდმა აიღო პირველი ადგილი. მადლობა მინდა ვუთხრა ბიჭებს ამ შემართებისთვის და წარმატებები ვუსურვო, საკრებულოს სახელით მივულოცოთ მათ ეს გამარჯვება.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 დეკემბრის

რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **11 დეკემბრის რიგგარეშე** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **11 დეკემბრის რიგგარეშე** სხდომის დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის **პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის** დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის** შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ **კორპორაციულ ნომრებზე** საბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) **პირობიანი** ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი **7 პროექტის მოწონების** შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

6. სხვადასხვა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (19 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის** დამტკიცების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 2 დეკემბრის*** N62-6224337100 წერილობითი მომართვა, საიდანაც ირკვევა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდებას ახორციელებს მუნიციპალიტეტი, რომელიც განსაზღვრავს ამ სერვისის მოცულობას და შეიმუშავებს მისი მიწოდების წესს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოებმა 2025 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველყოს პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამული გაწერა, სერვისის მოცულობის განსაზღვრა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისი მიწოდების წესების შემუშავება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის** დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-ქვეპუნქტის და „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „პერსონალური ასისტენტის მომსახურების ქვეპროგრამის შესაბამისად, განსაზღვრავს პერსონალური ასისტენტის მომსახურების განხორციელების პირობებს, მოცულობას, მომსახურებაში ჩართვისა და მომსახურების მიწოდების წესებს.

- პროგრამის მიზანია შ.შ.მ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით.

- პროგრამის ამოცანაა ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, მომსახურების მიმღები პირისთვის, პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

პერსონალური ასისტენტის სერვისი მიმართულია ხელი შეუწყოს მომსახურების მიმღებ პირს საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში. ამ მიზნით, პერსონალური ასისტენტის სერვისი მომსახურების მიმღები პირის ინდივიდუალური საჭიროებისა და სურვილის მიხედვით შეიძლება მოიცავდეს კვების, საკუთარი თავის მოვლის, ჩაცმის, სახლის საქმის, საყიდლებზე სიარულის, მობილობისა და კომუნიკაციის, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების მომსახურების მიღებაში, ასევე მუშაობისა და დასვენების, დღის დაგეგმვის ან/და სხვა მსგავს აქტივობებში დახმარებას.

- პროგრამით დადგენილი მომსახურების მიმღები პირია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი.

. მომსახურების მიღების მსურველი შ.შ.მ. პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას.

- პროგრამაში ჩართვის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მომსახურების მაძიებელს ეცნობება დადებითი გადაწყვეტილება და ეგზავნება მუნიციპალიტეტში

მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული ორგანიზაციების სია და საკონტაქტო ინფორმაცია.

- პროგრამის ყოველწლიური ბიუჯეტი განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით.

- პროგრამის მოქმედება იწყება 2025 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ, საკრებულოს წევრების მიერ დაისვა შეკითხვები, რომელსაც უპასუხა ლევან ახობაძემ.

მან აღნიშნა, რომ მერიიდან ჯერჯერობით, ჯანდაცვის სამინისტროს გადავუგზავნეთ 21 პიროვნების სია, რომელთათვისაც უნდა განხორციელდეს სპეციალიზირებული მომსახურება. მომსახურების განხორციელებისათვის ჯანდაცვის სამინისტროსა და სამტრედიის ჯეოჰოსპიტალს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება. სადაც შეირჩევა კონკრეტული პირები, რომლებიც შეასრულებს მომსახურებას. ჩვენი სამსახურიდან ჯერჯერობით კონკრეტული პირის გადამზადება არ იგეგმება. მერია მოახდენს მონიტორინგს.

აზრი გამოთქვა: გოჩა არველაძემ.

გოჩა არველაძე - წარმოდგენილი პროექტის დანართი N1-ის მე-10 მუხლში, განსაზღვრულია მომსახურების მონიტორინგი, რომლითაც მერიის შესაბამისი სამსახური, პერიოდულად განახორციელებს მიწოდებული მომსახურების სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, მომსახურების არასათანადო განხორციელების შემთხვევაში ახდენს კონკრეტული ფაქტის შესწავლას და მონიტორინგის შესაბამისად, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. დღეისათვის არის თუ არა მერიის შესაბამის სამსახურში, განსაზღვრული კვალიფიციური კადრი, რომელიც შეასრულებს მონიტორინგს. ეს ძალიან კარგი პროგრამაა და პირადად მე მივესალმები მის დამკვიდრებას.

ლევან ახობაძემ უპასუხა, რომ მერია შეიმუშავებს და დაამტკიცებს პერსონალური ასისტენტის მომსახურების მონიტორინგის წესს, ასევე კანონის შესაბამისად, შეიქმნება მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმი. ამის შემდეგ დადგება საჭიროება სპეციალისტის გადამზადების.

ვაჟა სტურუა - ბატონო ლევან, პროგრამა ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან. იმედია დროულად გაირკვევა მონიტორინგზე პასუხისმგებელი შესაბამისი პირი და უახლოეს საკრებულოს სხდომაზე მოგვაწოდეთ ინფორმაცია.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (19 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის** დამტკიცების შესახებ''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის** შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, ***№54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 27 ნოემბრის*** №54/80 წერილობითი მომართვა

რომელიც ეხება, №54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 27 ნოემბრის №05/2024 განკარგულებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს'' მიერ, პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის, ნუგზარ ჯამბურიას, (პარტიულ სიაში №1) ადგილმონაცვლედ , ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის რიგით N14 კანდიდატი **- ალექსანდრე ალფაიძის ცნობას.** საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება აქტის გამოცემის მე-14 დღიდან. (2024 წლის 11 დეკემბერი). ასევე გიგზავნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ №54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, 2024 წლის 27 ნოემბრის №05/2024 განკარგულების ასლს, საკრებულოს წევრობის კანდიდატის სააღრიცხვო ბარათსა და პირადობის მოწმობის ასლს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ცნობილი იქნას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრის, **ალექსანდრე ალფაიძის,** უფლებამოსილება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა წევრმა.

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს საკრებულოს ახალ წევრს, ალექსანდრე ალფაიძეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (19 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის** შესახებ''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ **კორპორაციულ ნომრებზე** სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, საკრებულოს წევრის, ზაზა ადეიშვილის, 2024 წლის 2 დეკემბრის N:19/63243372-63 განცხადება განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 2021 წლისდან დღემდე **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე, სააბონენტო გადასახადი ერიცხებოდა ნომერზე** 595 55 88 22**. ითხოვს,** შეტანილ იქნას ცვლილება შესაბამის განკარგულებაში და მისი პირადი ტელეფონის ნომერი დაფიქსირდეს შემდეგნაირად - 555 96-33-00.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (19 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ **კორპორაციულ ნომრებზე** სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, დავით ჯანელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) **პირობიანი** ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 2 დეკემბრის*** N62-6224337101, წერილობითი მომართვა. საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ **პირობიანი** ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156).

- **პირობიანი** ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 4500 (ოთხიათასხუთასი) ლარი.

- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარი.

- საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 1500 (ათასხუთასი) ლარი.

- იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

- იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

,,პირობად განისაზღვროს, რომ:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156), იჯარის ფორმით, სარგებლობის მომდევნო ორი წლის განმავლობაში, უნდა განხორციელდეს გრძელვადიანი ინვესტიცია, მრავალწლიანი ნარგავების (არანაკლებ ტერიტორიის ორმესამედზე) ან სხვა სამეურნეო ტიპის შენობა-ნაგებობის სახით''.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (19 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) **პირობიანი** ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, დავით ჯანელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი **7 პროექტის მოწონების** შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 3 დეკემბრის N***62-622433886 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, რგფ-ის პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი **7 პროექტის** მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 7 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 7 პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა (რეგიონული ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2	3	4	5	6
1	ქ. სამტრედიაში, ფოთის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაცია	431,872.00	12,162.00	დეკემბერი	მარტი (2025 წელი)	231,080
2	ქ. სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის ორივე მხარეს დეკორატიული ღობის მოწყობა	1,584,784.00	79,240.00	დეკემბერი	ნოემბერი (2025 წელი)	1,505,544.00
3	ქ. სამტრედიაში წერეთლის ქუჩის N1 ბინის სამხრეთ მხარეს არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები	154,294.00	7,715.00	დეკემბერი	მარტი (2025 წელი)	146,579
4	ქ. სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე N7-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა	89,071.00	4,454.00	დეკემბერი	მარტი (2025 წელი)	84,617
5	ქ. სამტრედიაში, ჩეხოვის, ვასაძის, ლაღიძისა და ძმ. გოგიების ქუჩაზე კაპიტალური სანიაღვრე არხის მოწყობა	318,748.00	15,939.00	დეკემბერი	მარტი (2025 წელი)	302,809.00
6	გრიბოედოვის ქუჩისა და კეჭინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	192,379.00	8,141.00	დეკემბერი	მარტი (2025 წელი)	184,238.00
7	სოფელ დიდი ჯიხაიშში N25 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	173919	8695	დეკემბერი	მარტი (2025 წელი)	165221

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (19 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი **7 პროექტის მოწონების** შესახებ''.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი